ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამა ითვალისწინებს ონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს ეროვნულ, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში გამარჯვებული სპორტსმენებისათვის, ონის მუნიციპალიტეტის წლის საუკეთესო სპორტსმენისათვის (ერთჯერადად) ჯილდოს სახით ფულადი დახმარების გაცემა. **ქვეპროგრამის მიზანია:**

- სპორტსმენებისა მოტივაციის ამაღლება მომავალი შედეგების გასაუმჯობესებლად;
- მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა როგორც ქვეყნის მასშტაბით ასევე საზღვრებს გარეთ;
- სპორტის სახეობების განვითარება და პოპულარიზაცია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი		სხვადასხვა ჩემპიონატებში გამარჯვებული სპორტსმენების გაზრდილი რაოდენობა	მიღწეული შედეგი	წარმატებული სპორტსმენების ფინანსური დახმარება	
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი		მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი			
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	განმარტება
1	საქართველოს ჩემპიონი და პრიზიორი 7 სპორტსმენი	4 სპორტსმენი	4 სპორტსმენი	0%	
2	ევროპის ჩემპიონი და პრიზიორი 1 სპორტსმენი	1 სპორტსმენი	1 სპორტსმენი	0%	
3	მსოფლიო ჩემპიონი და პრიზიორი 1 სპორტსმენი	0 სპორტსმენი	0 სპორტსმენი	0%	

4.5. ქვეპროგრამის დასახელება კაპიტალური დაბანდები სპორტის სფეროში (პროგრამული კოდი 05 01 05)

განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, მოწესრიგება და ახალი ობიექტების მშენებლობა. მიმდინარე წელს იგეგმება სოფელ უწყრაში ახალი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია და ქალაქ ონში დგვარელის ქუჩაზე სპორტული მოედნის რეაბილიტაცია. **ქვეპროგრამის მიზანია:**

- მოწესრიგებული სპორტული ობიექტები;
- მომავალი თაობისთვის მოტივაციის ამაღლება დაკავდნენ სპორტის სხვადასხვა სახეობებით;

დაგეგმილი შუალედური შედეგი		აშენებული ახალი სპორტული მოედანი	მიღწეული შედეგი		
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი		მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი			
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	განმარტება
1	0 სპორტული მოედნი	შესაბმის პერიოდში დაიგება 1 სპორტული მოედნის რეაბილიტაცია	1 სპორტული მოედანი	0%	

4.6. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი სამუსიკო სკოლის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 01 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ - ონის მუნიციპალიტეტის ზურა ბაკურაძის სახელობის სამუსიკო სკოლა

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო სკოლა სადაც დაწყებით სამუსიკო განათლებას იღებს ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 30 ბავშვი. ბავშვები ეუფლებიან ფორტეპიანოზე დაკვრას, ასევე სწავლობენ თეორიულ საგნებს. სამუსიკო სკოლაში დასაქმებულია 10 თანამშრომელი.

სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის **ქვეპროგრამის მიზანია:** შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა. განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების გამოვლენა. კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე. მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში.

დაგეგმილი შუალედური შედეგი		სამუსიკო დაწყებით განათლებაზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა; კულტურულ ღონისძიებებში, კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილთა გაზრდილი მაჩვენებელი.	მიღწეული შედეგი	სამუსიკო განათლებაზე მაქსიმალური ხელმისაწვდომობა	
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი		მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი			
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	განმარტება
1	32 მოსწავლე	30 მოსწავლე	30 მოსწავლე	0%	
2	3 ღონისძიება	2 ღონისძიება	2 ღონისძიება	0%	

4.7. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი სამხატვრო სკოლის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 01 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ - **ონის მუნიციპალიტეტის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა**

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამხატვრო სკოლა სადაც განათლებას იღებს ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 88 ბავშვი. სამხატვრო სკოლაში ბავშვები ეუფლებიან ხატვას, ფერწერას, კომპოზიციას, ტერწვას, თექას, ბატკვას, ხის მხატვრულ დამუშავებას, ქსოვას. სკოლაში სულ დასაქმებულია 9 თანამშრომელი.

ქვეპროგრამის მიზანია: შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; განსაკუთრებული სამხატვრო ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების გამოვლენა; კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე; მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, ფორუმებში.

დაგეგმილი შუალედური შედეგი		სამხატვრო განათლებაზე ბავშვებისა და მოზარდების გაზრდილი მოთხოვნა; კულტურულ ღონისძიებებში, კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილთა გაზრდილი მაჩვენებელი.	მიღწეული შედეგი	სამხატვრო განათლებაზე მაქსიმალური ხელმისაწვდომობა	
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი		მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი			
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	განმარტება
1	87 მოსწავლე	88 მოსწავლე	88 მოსწავლე	0%	
2	11 ღონისძიება	6 ღონისძიება	6 ღონისძიება	0%	

4.8. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი კულტურის ცენტრის დაფინანსების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 02 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ **ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლი**

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: კულტურის სახლში მოქმედებს სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის 6 შემოქმედებითი წრე: ქორეოგრაფიული, საესტრადო, ქართული ხალხური სიმღერის შემსწავლელი, ქართული ხალხური ინსტრუმენტების - ფანდურის შემსწავლელი და ქართული ხალხური ინსტრუმენტების - სტვირის შემსწავლელი, სასცენო მეტყველების შემსწავლელი წრეები, სულ წრეებში გაწევრიანებულია 207 ბავშვი. კულტურის სახლში დასაქმებულია 45 თანამშრომელი. ანსამბლები მონაწილეობას იღებენ საქართველოს მასშტაბით გამართულ სხვადასხვა ღონისძიებასა და ფესტივალებში. **ქვეპროგრამის მიზანია:**

- განახორციელოს მუნიციპალიტეტში ადრე გავრცელებული ტრადიციების, წეს-ჩვეულებების შესწავლა და აღორძინება.
- შეიმუშაოს სხვადასხვა კულტურული პროგრამა და უზრუნველყოს მისი განხორციელება.
- დაეგმოს მასობრივი ღონისძიებები და უზრუნველყოს ფართო საზოგადოების ჩართულობა.
- მოაწყოს ექსპედიციები სხვადასხვა ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალის მოძიებისა და პოპულარიზაციის მიზნით.

დაგეგმილი შუალედური შედეგი		მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების გაზრდილი მოთხოვნა კულტურის სხვადასხვა სფეროს მიმართ; კულტურულ ღონისძიებებში, კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილთა გაზრდილი მაჩვენებელი; ეროვნულ ტრადიციებზე აღზრდილი თაობა.	მიღწეული შედეგი	კულტურის სხვადასხვა სფეროს მაქსიმალური ხელმისაწვდომობა	
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი		მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი			
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	განმარტება
1	120 ბავშვი	207 ბავშვი	195 ბავშვი	5%	
2	18 ღონისძიება	14 ღონისძიება	13 ღონისძიება	7%	

4.9. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი მუზეუმის ფუნქციონირების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 02 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ **ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი**

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, რომელიც წარმოადგენს კულტურის, განათლების, მეცნიერების კერას. სადაც დაცულია 14 000-ზე მეტი ძირითადი და დამხმარე ექსპონატები მათ შორის არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, სახვითი ხელოვნების ნიმუშები, შუასაუკუნეების რელიეფები, ნუმიზმატიკური, ხელნაწერი და ძველბეჭდური წიგნები, ხელნაწერი ისტორიული დოკუმენტები და სხვადასხვა პატარა კოლექციები. მუზეუმში დასაქმებულია 13 თანამშრომელი. მუზეუმი მასპინძლობს როგორც უცხოელ ასევე ადგილობრივ ვიზიტორებს, აწყობს არქეოლოგიურ, ეთნოგრაფიულ, პალეონტოლოგიურ, ფოლკლორულ ექსპედიციებს რაჭის სხვადასხვა სოფლებში. მიმდინარეობს სამეცნიერო საგანმანათლებლო საქმიანობა და მჭიდრო თანამშრომლობა სხვადასხვა

კვლევით დაწესებულებებთან. მეცნიერთანამშრომლები მონაწილეობას ღებულობენ სხვადასხვა პროექტის ფარგლებში დაფინანსებულ ბუკლეტებისა და კატალოგების გამოცემაში. მუზეუმში ეწყობა სხვადასხვა მხატვრების სახვითი ხელოვნების ნიმუშების გამოფენა, პრეზენტაცია ხდება სხვადასხვა წიგნების, ალბომებისა და კატალოგების. დეზინფიცია-დეზინექცია უტარდება მუზეუმის ფონდებში დაცულ ხისა და ტექსტილის ნიმუშებს.

ქვეპროგრამის მიზანია: სახვადასხვა სამეცნიერო-საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება, ექსპონატების შეგროვება დაცვა პოპულარიზაცია, მჭიდრო თანამშრომლობა მოსწავლე ახალგაზრდობასთან, ვოლონტერებთან, საზოგადოების ფართო მასების აქტიური ჩართულობა ჩვენ კუთხის კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და შესწავლის საქმეში.

დაგეგმილი შუალედური შედეგი		დაცული და შესწავლილი კულტურული მემკვიდრეობის ექსპონატები; ვიზიტორთა რაოდენობის მატება;	მიღწეული შედეგი	დაცული და შესწავლილი კულტურული მემკვიდრეობის ექსპონატები
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი		მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	
1	2000 ვიზიტორი	600 ვიზიტორი	500 ვიზიტორი	16%
2	20 ექსპედიცია	7 ექსპედიცია	7 ექსპედიცია	0%

4.10. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი ბიბლიოთეკის დაფინანსების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 02 04)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა შედგება 1- ქალაქის და 17 სასოფლო ბიბლიოთეკისაგან. წიგნადი ფონდი შეადგენს სოფლად და ქალაქად -63766 ეგზემპლარს. ბიბლიოთეკაში დასაქმებულია 25 თანამშრომელი, რომელიც ემსახურება ყველა ასაკის მკითხველს. წლის განმავლობაში ხორციელდება სხვადასხვა პროექტები. კითხვის სადამოებო ლიტერატურულ-თეატრალური წარმოდგენები. დაგეგმილია წიგნადი ფონდების განახლება, შემეცნებითი შეხვედრების ჩატარება სკოლებში.

დაგეგმილი შუალედური შედეგი		მოსახლეობისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა, ჩართულობისა და დაინტერესების ზრდა.	მიღწეული შედეგი	წიგნადი ფონდის მაქსიმალური ხელმისაწვდომობა
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი		მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	
1	წიგნით სარგებლობის რაოდენობა 3000 წიგნი	წიგნით სარგებლობის რაოდენობა 1800 წიგნი	წიგნით სარგებლობის რაოდენობა 1850 წიგნი	3%
2	1200 მკითხველი	600 მკითხველი	620 მკითხველი	4%
3	გაზრდილი მატერიალური რესურსები (წიგნადი ფონდი)	0	0	0%

4.11. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი ტურისტული საინფორმაციო ცენტრის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 05)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ - ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული ცენტრი

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამა ითვალისწინებს ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტურიზმის განვითარების ხელშეწყობას; წინადადებების შემუშავება ტურიზმის პოტენციალის გაზრდის მიზნით; ტურიზმის სფეროში სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვება შეგროვება; ტურიზმის სფეროში მომუშავე სხვადასხვა ორგანიზაციიდან თანამშრომლობის გზით წინადადებების შემუშავება, ტურისტული მომსახურების სფეროში არსებული გამოცდილების გაზიარებისა და პრაქტიკაში დანერგვის მიზნით შესაბამისი პროექტების მომზადება.

დაგეგმილი შუალედური შედეგი		გაზრდილი ტურისტული პოტენციალი და შემოსული ტურისტების გაზრდილი რაოდენობა.	მიღწეული შედეგი	ინფორმაციის მიწოდება ტურიზმისთვის მიმზიდველი გარემოზე
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი		მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	
1	1 ღონისძიება	1 ღონისძიება	1 ღონისძიება	0%

4.12. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 06)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ზავშეთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამების განხორციელება ითვალისწინებს ონის მუნიციპალიტეტში საერო-სადღესასწაულო დღეებისა და სხვა ღონისძიებების აღნიშვნას - ონელობა; ახალი წელი; ინტელექტუალური კონკურსი "ეტალონი"; მემორიალის ესკიზის მომზადება; მემორიალური დაფის დამზადება, სალოტბარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირება, ველომართონის გამართვასთან დაკავშირებული ღონისძიება და ფეინთბოლის ჩემპიონატის ჩატარება. ასევე გამოყოფილი გრანტის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტის კულტურის, შემოქმედებითი თუ სხვა დანიშნულების ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვისათვის საჭირო ტექნიკის შექმნა.

ქვეპროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება; არსებული კულტურისა და შემოქმედებითი სივრცეების ინფრასტრუქტურის აღნუსხვისთვის საჭირო უნარების განვითარება.

დაგეგმილი შუალედური შედეგი		კულტურულ ცხოვრებაში ფართო საზოგადოების გაზრდილი ჩართულობა;	მიღწეული შედეგი		
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	განმარტება
1	4 ღონისძიება	2 ღონისძიება	2 ღონისძიება	0%	
2	კომპიუტერული და სხვა ტექნიკის შექმნა	3 ერთეული ტექნიკა	3 ერთეული ტექნიკა	0%	

4.13. პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური

პროგრამის აღწერა და მიზანი: სოფელ მრავალძალში წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული დამხმარე შენობის რეაბილიტაცია. **პროგრამის მიზანია:** მოწესრიგებული იქნას რელიგიური ძეგლების მიმდებარე არსებული დამხმარე შენობები და ტერიტორია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი		მოვლილი და განახლებული რელიგიური ძეგლები.	მიღწეული შედეგი		
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	განმარტება
1	1 დამხმარე შენობის რეაბილიტაცია	შესაბამის პერიოდში არ დაგეგმილა	0	0%	

4.14. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი მოსწავლე ახალგაზრდობის ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 04 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ - ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, სადაც მოქმედებს 9 წრე. აქედან 5 შემოქმედებითი, 2 შემეცნებითი და 2 საგნობრივი წრე. განათლებას იღებს ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 112 ბავშვი. მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში დასაქმებულია სულ 11 თანამშრომელი. მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში ბავშვები ეუფლებიან ხალხურ საკრავებზე დაკვრის ხელოვნებას, საესტრადო სიმღერების შესწავლას, ქორეოგრაფიას, სასცენო ხელოვნებას, მხატვრულ კითხვას, საქართველოს ისტორიის შესწავლას, ჭადრაკს და საგნობრივი წრეებში ცოდნის გაღრმავებას. **ქვეპროგრამის მიზანია:** შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; სიმღერის, სხვადასხვა ინსტრუმენტებზე შემსწავლელი წრეების ჩამოყალიბება; კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე; ფასიანი და საერო დღესასწაულების ღონისძიებების მოწყობა; მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, საქართველოს ფარგლებში.

დაგეგმილი შუალედური შედეგი		მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების გაზრდილი მოთხოვნა კულტურის სხვადასხვა სფეროს მიმართ; კულტურულ ღონისძიებებში, კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილთა გაზრდილი მაჩვენებელი; ეროვნულ ტრადიციებზე აღზრდილი თაობა.	მიღწეული შედეგი	კულტურის სხვადასხვა სფეროს მაქსიმალური ხელმისაწვდომობა	
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	განმარტება
1	130 მოსწავლე	102 მოსწავლე	112 მოსწავლე	9%	
2	4 ღონისძიება	7 ღონისძიება	7 ღონისძიება	0%	

4.15. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის განხორციელების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 04 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ადგილობრივი ახალგაზრდული პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელებისთვის და სტრატეგიაში გაწერილი მიზნების მიღწევისთვის ონის მუნიციპალიტეტში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: საგანმანათლებლო მინიმუმ 3 პროგრამის მხარდაჭერა, რომელიც დაემხარება ახალგაზრდებს ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლებაში, მონაწილეობისა და გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო კომპეტენციების განვითარებაში რისთვისაც ჩატარდება საგანმანათლებლო ტრენინგები და მონაწილეობას მიიღებს 40 ახალგაზრდა მათ შორის 25 გოგო და 15 ბიჭი; ახალგაზრდების ჩართვა სოციალურ-საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობის მიზნით; ქვეყნის მასშტაბით მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს წევრების ტრანსპორტირება საბჭოს შეხვედრებზე და მათი გადაადგილება სხვადასხვა სოფელში წლის განმავლობაში ახალგაზრდებთან შესახვედრად, ასევე ქვეყნის მასშტაბით დაგეგმილ ფორუმებში მონაწილეობას, რომლებიც განკუთვნილი იქნება ახალგაზრდული საბჭოებისათვის, რომელთა შემადგენლობაში იქნება 8 გოგო და 2 ბიჭი;

ქვეპროგრამის მიზანია: პროგრამა ითვალისწინებს ისეთი ეკოსისტემის ჩამოყალიბების მხარდაჭერას, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდების ადამიანური და სოციალური კაპიტალის განვითარებას და სადაც ახალგაზრდებს აქვთ შესაძლებლობა, იყვნენ აქტიური მოქალაქეები და მონაწილეობდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და განახორციელონ საკუთარი იდეები და ინიციატივები.

დაგეგმილი შუალედური შედეგი	საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართული ახალგაზრდების გაზრდილი რაოდენობა; მომავლი პროექტის არჩევისა და დასაქმების მეტი შესაძლებლობა; ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია ცნობიერების ამაღლება და	მიღწეული შედეგი	
----------------------------	---	-----------------	--

		კრიტიკული აზროვნების განვითარება.			
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	3 ტრენინგი	შესაბამის პერიოდში არ დაგეგმილა	0	0%	
2	20 ბენეფიციარი	შესაბამის პერიოდში არ დაგეგმილა	0	0%	
3	4 შეხვედრა	შესაბამის პერიოდში არ დაგეგმილა	0	0%	

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	II კვარტლის გეგმა	II კვარტლის ფაქტი	შესრულება %
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	401.3	271.5	68
06 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	90.0	32.0	36
06 02	სოციალური დაცვა	311.3	239.5	77
06 02 01	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	76.8	75.7	99
06 02 02	შეზღუდული შესაძლებლობის პირთა სოციალური დაცვა	14.4	12.4	86
06 02 03	ობოლი ბავშვების, მრავალშვილიანი ოჯახებისა და ბავშვის შეძენასთან დაკავშირებული დახმარების ღონისძიებები	43.0	31.8	74
06 02 04	ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯი	0.5	-	0
06 02 05	სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული ოჯახების სოციალური დაცვა	95.0	46.0	48
06 02 06	9 და 26 მაისის, 8 მარტის, 17 ოქტომბერის და საახალწლო დღესასწაულებთან დაკავშირებით ვეტერანთა ერთჯერადი დახმარება	3.6	1.7	49
02 06 07	არასაპენსიო ასაკის შშმ პირების, სამამულო ომის ვეტერანებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა და ინვალიდთა ოჯახების სოციალური დახმარების ღონისძიებები	2.8	0.9	31
02 06 08	ას წელს გადაცილებულ ხანდაზმულთა სოციალური დაცვის და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ღონისძიებები	5.0	1.5	30
02 06 09	ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარება	66.2	66.0	100
02 06 10	მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა	4.0	3.5	88

5.1. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარული ნორმების დაცვის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება;

პროგრამის მიზანია: მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება.

დაგეგმილი შუალედური შედეგი	მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო	მიღწეული შედეგი	ჩატარებული პრევენციული
----------------------------	---	-----------------	------------------------

		სიტუაციების ლოკალიზება		ლონისძიებები ინფექციურ დაავადებებზე	
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	განმარტება
1	იმუნიზაციის ღონისძიებები 850	იმუნიზაციის ღონისძიებები 180	იმუნიზაციის ღონისძიებები 210	16%	
2	ცხოვრების უსაფრთხოების და უნარჩვევების დამკვიდრება (ლექცია საუბრები) 15	15 ლექცია/საუბრები	9 ლექცია/საუბრები	0%	
3	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ობიექტებში სანიტარული ნორმების ზედამხედველობა 15	15 ობიექტი	20 ობიექტი	25%	

5.2. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი ავადმყოფთა სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: 1. ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწევა მოქალაქეებს, თუ ისინი აუცილებლად საჭიროებენ სამედიცინო დიაგნოსტიკურ კვლევებს, სტაციონარში მედიკამენტურ მკურნალობას ან/და სასწრაფო ოპერაციას და მათი აღნიშნული მკურნალობის ხარჯებს სრულად არ ფარავს ჯანდაცვის არცერთი პროგრამა. დახმარების გაწევა მოხდება შემდეგნაირად: ა) მოქალაქეს, რომლის ოჯახის სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში შეადგენს 0-დან 70 001-მდე, აუნაზღაურდება წარმოდგენილი თანხის 80% პროცენტი, მაგრამ არაუმეტეს 2000 (ორი ათასი) ლარისა; ბ) მოქალაქეს, რომლის ოჯახის სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში შეადგენს 70 001-დან 150 001-მდე, აუნაზღაურდება წარმოდგენილი თანხის 60% პროცენტი, მაგრამ არაუმეტეს 1200 (ერთათას ორასი) ლარისა; გ) მოქალაქეს, რომელზეც არ ვრცელდება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეღავათი, აუცილებლობის შემთხვევაში, მერის წარმომადგენლის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, აუნაზღაურდება წარმოდგენილი თანხის 50% პროცენტი, მაგრამ არაუმეტეს 1000 (ერთი ათასი) ლარისა; 2. ჰემოდიალიზის კომპონენტის მოსარგებლეთა დახმარება გაიცემა ყოველთვიურად წლის განმავლობაში თვეში 200 (ორასი) ლარი; 3. მედიკამენტით უზრუნველყოფისთვის ონკოლოგიური/სიმსივნური დაავადების მქონე პაციენტებზე ერთჯერადად გაიცემა არა უმეტეს 200 (ორასი) ლარისა; **ქვეპროგრამის მიზანია:** პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ფინანსური დახმარება.

დაგეგმილი შუალედური შედეგი		ფინანსური დახმარების მიმღებ ბენეფიციართა გაზრდილი რაოდენობა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით		მიღწეული შედეგი	ავადმყოფთა ფინანსური დახმარება
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	განმარტება
1	171 ბენეფიციარი	120 ბენეფიციარი	141 ბენეფიციარი	17%	
2	4 ბენეფიციარი	2 ბენეფიციარი	2 ბენეფიციარი	0%	
3	22 ბენეფიციარი	8 ბენეფიციარი	6 ბენეფიციარი	25%	

5.3. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი შეზღუდული შესაძლებლობის პირთა სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: 1. არასაპენსიო ასაკის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე ერთჯერადი დახმარება გაიცემა, ცერებრალური დამბლის, დაუნის სინდრომის, აუტიზმის სპექტრის დარღვევების მქონე, ტეტრაპლეგიის, ჰემიპლეგიის, პარაპლეგიის, მკვეთრად გამოხატული ტეტრაპარეზის, მკვეთრად გამოხატული პარაპარეზის, მკვეთრად გამოხატული ჰემიპარეზის გამო მყარი ნარჩენი მოვლულების, გონებრივი ჩამორჩენის, ეპილეფსიის, ფსიქიკური პრობლემების, III-IV ხარისხის სკოლიოზის, ორმხრივი ნეიროსენსორული (IV ხარისხის) სმენარღუნობის და ინვალიდობის ეტლის საჭიროების მქონე პირებს, რომელთაც არ შეუძლიათ სრულფასოვნად ჩაერთონ საზოგადოებრივ საქმიანობაში ან იცხოვრონ ცხოვრების ჩვეულებრივი წესით, წლის განმავლობაში 300 (სამასი) ლარის ოდენობით;

2. აგრეთვე ფინანსური დახმარება გაეწევათ საახალწლო-საშობაოდ 200 (ორასი) ლარი.

3. 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებზე ერთჯერადი დახმარება გაეწევათ შემდეგნაირად: რეაბილიტაცია აბილიტაცია არაუმეტეს 1000 (ერთი ათასი) ლარისა; 1 იენისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით 200 (ორასი) ლარი, საახალწლო-საშობაოდ 200 (ორასი) ლარი, თუ მათზე არ ვრცელდება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოქმედება.

დაგეგმილი შუალედური შედეგი		ფინანსური დახმარების მიმღებ ბენეფიციართა გაზრდილი რაოდენობა ფინანსური რისკების შემცირების მიზნით		მიღწეული შედეგი	შემ პირთა ფინანსური დახმარება
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	განმარტება
1	42 ბენეფიციარი	15 ბენეფიციარი	13 ბენეფიციარი	13%	
2	19 ბენეფიციარი	15 ბენეფიციარი	15 ბენეფიციარი	0%	

5.4. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი ობოლი ბავშვების, მრავალშვილიანი ოჯახებისა და ბავშვის შეძენასთან დაკავშირებული დახმარების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 02 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში მატერიალური დახმარება გაეწევა: 1. ახალშობილის შეძენასთან დაკავშირებით ოჯახებს პირველი შვილ(ებ)ის შეძენაზე; - 400 (ოთხასი) ლარის, მეორე შვილის შეძენაზე - 450 (ოთხას ორმოცდაათი) ლარი; 2. წლის განმავლობაში ერთჯერადად მრავალშვილიან ოჯახებზე გაიცემა სამშვილიან ოჯახზე - 200 (ორასი) ლარი, ოთხშვილიან ოჯახზე -300 (სამასი) ლარი, ხუთშვილიან ოჯახზე 350 (სამას ორმოცდაათი) ლარი; ექვს და მეტშვილიან ოჯახზე - 400 (ოთხასი) ლარი.

3. მრავალშვილიან (სამი და მეტი შვილი) ოჯახებზე საახალწლო საშობაოდ გაიცემა 200 (ორასი) ლარი.

4. მარჩენალდაკარგულ, ობოლ და მშობელთა შორეულგეგმა მოკლებულ ბავშვებზე დახმარება გაიცემა წელიწადში სამჯერ: სასწავლო წლის დაწყებისთვის 200 (ორასი) ლარის ოდენობით, აღდგომის დღესასწაულზე და საახალწლო საშობაოდ ოჯახზე 200 (ორასი) ლარი.

5. მარტოხელა მშობელზე წლის განმავლობაში ერთჯერადად გაიცემა 200 (ორასი) ლარი, ხოლო აღდგომის დღესასწაულზე და საახალწლო საშობაოდ ოჯახზე 200 (ორასი) ლარი.

6. მიმე სოციალური პირობების მქონე უსახლკარო ოჯახებს, რომელთაც არ გააჩნიათ საცხოვრებელი ფართი ან თავშესაფარი და ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000-ს. საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით, მათზე გაიცემა ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინის ქირის კომპენსაცია, არაუმეტეს თვეში 400 (ოთხასი) ლარისა;

7. სოციალურად დაუცველ მარტოხელა პირებზე/ოჯახებზე, (გარდა შრომის უნარიან პირისა) რომელთა სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში არ აღემატება 57 001-ს, და არ გააჩნია ფინანსური შესაძლებლობა ზამთრის თბობისათვის გაიცემა ერთჯერადი ფულადი დახმარება ოჯახზე 300 (სამასი) ლარი.

8. 18 წლამდე მრავალშვილიან (ოთხი და მეტი შვილი) დედებს, 3 მარტს დედის დღესთან დაკავშირებით გადაეცემა სასურსათო პაკეტი / კალათა 100 (ასი) ლარის ფარგლებში;

დაგეგმილი შუალედური შედეგი		ფინანსური დახმარების მიმღებ ბენეფიციართა გაზრდილი რაოდენობა ფინანსური რისკების შემცირების მიზნით		მიღწეული შედეგი	ობოლ და მრავალშვილიან ოჯახებზე ფინანსური დახმარება
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	39 ბენეფიციარი	15 ბენეფიციარი	11 ბენეფიციარი	26%	
2	66 ბენეფიციარი	66 ბენეფიციარი	56 ბენეფიციარი	15%	
3	66 ბენეფიციარი	0 ბენეფიციარი	0 ბენეფიციარი	0%	
4	52 ბენეფიციარი	0 ბენეფიციარი	0 ბენეფიციარი	0%	
5	4 ბენეფიციარი	2 ბენეფიციარი	2 ბენეფიციარი	0%	
6	5 ოჯახი	6 ოჯახი	5 ოჯახი	16%	
7	100 ბენეფიციარი	0 ბენეფიციარი	0 ბენეფიციარი	0%	
8	15 ბენეფიციარი	19 ბენეფიციარი	19 ბენეფიციარი	0%	

5.5. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი ვეტერანთა დაკრძალვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 02 04)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ ვეტერანთა (ომის მონაწილე) გარდაცვალების შემთხვევაში მათ ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაიცემა 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით სარიტუალო ხარჯებისათვის. **ქვეპროგრამის მიზანია:** გარდაცვლილი ომის ვეტერანთა სარიტუალო მომსახურების დახმარება.

დაგეგმილი შუალედური შედეგი		გარდაცვლილი ომის ვეტერანის ოჯახისათვის ფინანსური დახმარება		მიღწეული შედეგი	
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	2 ოჯახი	0 ოჯახი	0	0%	

5.6. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული ოჯახების სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 05)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: სტიქიური მოვლენების დროს ხანძარი, მეწყერი, წყალდიდობა, გრიგალი, ღვარცოფი, დიდთოვლობა, რომელთაც გაუნადგურდათ ან მნიშვნელოვნად დაუზიანდათ საცხოვრებელი სახლი თითოეულ ოჯახზე გაიცემა ერთჯერადი ფინანსური დახმარება არაუმეტეს 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით. ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე მოხდება სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხებით კომპენსაციის გაცემა. **ქვეპროგრამის მიზანია:** სტიქიით დაზარალებული ოჯახების ფინანსური დახმარება.

დაგეგმილი შუალედური შედეგი		დაზარალებული ოჯახების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და ფინანსური მხარდაჭერა		მიღწეული შედეგი	სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახის ფინანსური დახმარება
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება

№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)
1	6 ოჯახი	1 ოჯახი	1 ოჯახი	0%

5.7. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი 8 მარტის, 9 და 26 მაისის, 17 ოქტომბერის და საახალწლო დღესასწაულებთან დაკავშირებით ვეტერანთა ერთჯერადი დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 06)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში მატერიალური დახმარება გაეწევა: 1. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში მონაწილე ქალებზე 8 მარტს - ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით (ასეთების არსებობის შემთხვევაში) -200 (ორასი) ლარის ოდენობით; 26 მაისს საქ. ტერ. მთ. ბრძოლებში დაღუპულთა ოჯახის წევრებსა და დაინვალიდებულ ვეტერანებს - 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით, 17 ოქტომბერს ომის ვეტერანთა დღის აღსანიშნავად სოციალურად დაუცველ ომის ვეტერანებს - 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით, ახალ წელთან დაკავშირებით - საქ. ტერ. მთ. ბრძოლებში დაღუპულთა ოჯახის წევრებსა და დაინვალიდებულ ვეტერანებს, II მსოფლიო ომის ვეტერანებს - 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით. 2. ონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ომის ვეტერანების, საქართველოს ტერიტორიული ერთიანობისათვის ბრძოლაში დაინვალიდებულ პირთა და ბრძოლის დროს დაღუპულ მეომართა ოჯახების აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით გადაეცემა სასურსათო პაკეტი /კალათა 100 (ასი) ლარის ფარგლებში; **ქვეპროგრამის მიზანია:** მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის ფინანსური რისკების შემცირება.

დაგეგმილი შუალედური შედეგი		ფინანსური დახმარების მიმღებ ბენეფიციართა გაზრდილი რაოდენობა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.		მიღწეული შედეგი	სადღესასწაულოდ ვეტერანთა ფინანსური დახმარება
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	36 ბენეფიციარი	8 ბენეფიციარი	6 ბენეფიციარი	25%	
2	7 ბენეფიციარი	7 ბენეფიციარი	7 ბენეფიციარი	0%	

5.8. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი არასაპენსიო ასაკის შშმ პირების, სამამულო ომის ვეტერანებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა და ინვალიდთა ოჯახების სოციალური დახმარების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 02 07)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებები: არასაპენსიო ასაკის შშმ პირების, მათ შორის შშმ სტატუსის ბავშვების; ონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ომის ვეტერანების მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების, მარჩენალ დაკარგულების და აფხაზეთიდან და ცხინვალის დედაქალაქიდან დაინვალიდებულ ოჯახების ყოველთვიურად წყლისა და კანალიზაციის საფასურის (ერთეულის ფასი - 50 თეთრი) და დასუფთავების მოსაკრებლის საფასურის (ერთეულის ფასი - 50 თეთრი) გადასახადით უზრუნველყოფა. **ქვეპროგრამის მიზანია:** მოწყვლადი ჯგუფების ძირითადი კომუნალური მომსახურებით უზრუნველყოფა.

დაგეგმილი შუალედური შედეგი		მოწყვლადი ჯგუფები უზრუნველყოფილნი არიან ძირითადი კომუნალური სერვისებით.		მიღწეული შედეგი	ვეტერანთა კომუნალური სერვისებით სარგებლობა
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	298 ბენეფიციარი	298 ბენეფიციარი	295 ბენეფიციარი	2%	

5.9. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი ას წელს გადაცილებულ ხანდაზმულთა სოციალური დაცვის და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 02 08)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: მუნიციპალიტეტში მცხოვრები 100 წლის და 100 წელს გადაცილებული მოქალაქეების სოციალური დახმარება, თითოეულზე 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით; საახალწლო-საშობაოდ 90 და მეტი ასაკის მოქალაქეებზე 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით; უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯი, რომელსაც არ ჰყავს პირველი და მეორე რიგის მემკვიდრე გაიცემა 300 (სამასი) ლარის ოდენობით; 95 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეებზე აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით გადაეცემა სასურსათო პაკეტი/კალათა 100 (ასი) ლარის ფარგლებში. **ქვეპროგრამის მიზანია:** ხანდაზმულ მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ღონისძიებების დაფინანსება.

დაგეგმილი შუალედური შედეგი		ხანდაზმულ მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ღონისძიებების დაფინანსება		მიღწეული შედეგი	
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	

1	2 ბენეფიციარი	2 ბენეფიციარი	1 ბენეფიციარი	0%	
2	18 ბენეფიციარი	20 ბენეფიციარი	15 ბენეფიციარი	25%	
3	2 ბენეფიციარი	0 ბენეფიციარი	0 ბენეფიციარი	0%	

5.10. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 09)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და ფინანსური მხარდაჭერა. ქვეპროგრამის მიზანია: ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახებისათვის ზამთრის პერიოდში გათბობით უზრუნველყოფილი მოსახლეობა.

დაგეგმილი შუალედური შედეგი		გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და ფინანსური მხარდაჭერა.		მიღწეული შედეგი	ოჯახების ფინანსური დახმარება
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი		მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი			
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	განმარტება
1	337 ოჯახი	331 ოჯახი	330 ოჯახი	0%	

5.11. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი ბავშვების უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 10)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის საქმისაშორის

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსური დახმარება გაეწევა მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ სოციალური საფრთხის წინაშე (შშმ, სსსმ, დანაშაულის ან/და ძალადობის მსხვერპლი, კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვი, მშობელთა ზრუნვის გარეშე დარჩენილი, უსახლკარო ან/და მძიმე საყოფაცხოვრებო პირობების მქონე, ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის მქონე) მყოფ ბავშვებს. ქვეპროგრამის მიზანია: ბავშვის უფლებების დაცვა და მხარდაჭერა, კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების უზრუნველყოფა მატერიალური და არამატერიალური (სოციალური, ოურიდიული, სამედიცინო, ფსიქოლოგიური, საგანმანათლებლო და სხვ.) დახმარების გზით.

დაგეგმილი შუალედური შედეგი		სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვების გამოვლენა და მხარდაჭერა.		მიღწეული შედეგი	ბავშვების უფლებების დაცვა და ფინანსური დახმარება
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი		მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი			
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	განმარტება
1	10 ბენეფიციარი	4 ბენეფიციარი	4 ბენეფიციარი	0%	

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	II კვარტლის გეგმა	II კვარტლის ფაქტი	შესრულება %
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	2,176.5	1,929.3	89
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	2,087.1	1,923.7	92
01 01 01	ონის მუნიციპალიტეტის საკრებულო	582.0	546.4	94
01 01 02	ონის მუნიციპალიტეტის მერია	1,505.1	1,377.2	92
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	89.5	5.6	6
01 02 01	სარეზერვო ფონდი	76.9	-	0
01 02 02	წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	2.9		0
01 02 03	ასოცირებული საწევრო გადასახადი	5.7	5.6	99
01 02 04	ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდაჭერა	4.0	-	0

6.1. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 01 02 04)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ონის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის ეფექტურობისთვის მნიშვნელოვანია, გაიზარდოს მოქალაქეთა მონაწილეობა მათ საქმიანობაში და მოხდეს მოქალაქეთა ინტერესების გათვალისწინება საქმიანობის დაგეგმვა-განხორციელებისას, რაც მათ შორის გულისხმობს სხვადასხვა ფორმებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით მოსახლეობის ინფორმირებას მონაწილეობის ფორმებისა და

მუნიციპალიტეტის არსებული პროცესების შესახებ, ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული საჭიროებების გამოვლენის მიზნით სხვადასხვა მექანიზმებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით მოსახლეობასთან კომუნიკაციას, მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების, ბიუჯეტისა და პროგრამების ფორმირებისას მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინების მიზნით სხვადასხვა მექანიზმების/ინსტრუმენტების გამოყენებას და სხვა. პროგრამა შედგება შემდეგი ღონისძიებებისგან:

1. ადამიანური რესურსების მართვის სისტემის დანერგვა და გაუმჯობესებაში მხარდაჭერა;
2. საჯარო ფინანსების მართვის სისტემის (PFM) სრულყოფაში მხარდაჭერა;
3. მერიისა და საკრებულოს წევრთა და აპარატის თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერება შესაბამისი თემატური მიმართულებებით;
4. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაურეგისტრირებელი და სახ. საკუთრებაში (არამუნიციპალურ ბალანზე) არსებული ქონების აღრიცხვის პროცესში მხარდაჭერა;
5. კერძო სექტორთან თანამშრომლობის გაუმჯობესება: კერძო სექტორის ჩართულობის შეფასება, შესაძლებლობების გაძლიერება, პრიორიტეტული ქონების იდენტიფიცირება, საინვესტიციო პროფილის მომზადება/არსებულის განახლება, სექტორებს შორის თანამშრომლობის პრიორიტეტული პროექტების იდენტიფიცირება (მათ შორის PPP ან/და ინტერმუნიციპალურ ფორმატში)/განხორციელებაში მხარდაჭერა;
6. მუნიციპალური სერვისების მიწოდების ერთი ფანჯრის პრინციპის დანერგვაში/გაუმჯობესებაში მხარდაჭერა;
7. MSDA-ს დამატებითი მოდულ[ებ]ის დანერგვა (გასარკვევია რომელი მოდული) და არსებული მოდულების მოხმარების ტრენინგები თანამშრომლებისთვის;
8. მოქალაქეთა ჩართულობის არსებული (მაგ. დასახლების საერთო კრება) და ინოვაციური (მაგ. მონაწილეობითი ბიუჯეტირება) მექანიზმების დანერგვის ხელშეწყობა საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით;

ქვეპროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის საქმიანობის გაუმჯობესებაში ხელშეწყობა, მოქალაქეთა ინფორმირებულობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მათი ჩართულობის ხელშეწყობა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები: გაზრდილია ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე მუნიციპალიტეტის საქმიანობისა და მუნიციპალური სერვისების შესახებ.

მოსალოდნელი შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

დაგეგმილი შუალედური შედეგი		გაზრდილია ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე მუნიციპალიტეტის საქმიანობისა და მუნიციპალური სერვისების შესახებ	მიღწეული შედეგი		
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	განმარტება
1	ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ახალი პოლიტიკის შემუშავება ან/და არსებული პოლიტიკის განხორციელების პროცესის გაუმჯობესება (რაოდენობრივი მაჩვენებელი)	შესაბამის პერიოდში არ დაგეგმილა	0	0%	
2	სულ მცირე 1 მუნიციპალური სერვისის ბიზნეს პროცესების ანალიზი და მისი გაუმჯობესებული (რეინჟინირებული) მოდელი (რაოდენობრივი მაჩვენებელი)	შესაბამის პერიოდში არ დაგეგმილა	0	0%	
3	მუნიციპალიტეტში ინერგება და განხორციელდება მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობი მინიმუმ ერთი ახალი/განახლებული ბიუჯეტის პროგრამა/ქვე-პროგრამა, ღონისძიება (რაოდენობრივი მაჩვენებელი)	შესაბამის პერიოდში არ დაგეგმილა	0	0%	